ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 03 ოქტომბრის მორიგი სხდომის

ოქმი N 16

2022 წლის 3 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკი კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

კობა ლურსმანაშვილი– მუნიციპალიტეტის მერი

ვარლამ ჭიპაშვილი -მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

პეტრე შარიქაძე მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

ი. ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ი. ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლ. კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მ. შარიქაძე -- საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე

საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი,

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ს. გლუნჩაძე - ოპერატორი,

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ რედაქტორი

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის გათავისუფლების ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2021 და 2022 წლის განვლილ პერიოდში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: პეტრე შარიქაძე

4. . არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სათნოების სახლი“ - ს ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: თამარ შავიძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ წიფის, სოფელ წყალაფორეთის სოფელ ზვარის და სოფელ კიცხის სასოფლო ამბულატორიების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

6. „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133722 განკარგულებაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ინგა თურქაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის ცნობად მიღების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხვადასხვა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებების საშეშე მერქნით მომარაგების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: სოსო ფოფხაძე

2. მთავრობის დადგენილების შესაბამისად სოციალურად დაუცველი

მოქალაქეების დასაქმების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: კიაზო გამრეკელაშვილი

3. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების აცრების ჩატარების მდგომარეობისა და ცხოველთა მიერ მოქალაქეთა დაკბენის ფაქტებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ავთანდილ ვეფხვაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 30 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 1

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია ,,ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ თორნიკე ავალიშვილმა მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ მანამდე არ მისცემდა სხდომის ჩატარების შესაძლებლობას, სანამ სოციალური მომსახურების სააგეტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსი კიაზო გამრეკელაშვილი, რომელიც ამავე დროს არის საკრებულოს წევრი, არ მისცემდა ხარაგაულის მუნიციაპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღებ პირთა სახელობით სიას პირადი ნომრის ჩვენებით.
აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით კ. გამრეკელაშვილმა განმარტა, რომ თ. ავალიშვილს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უკვე მიაწოდა წერილობითი ფორმით ინფორმაცია

სოციალური შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობისა და სხვა მონაცემების შესახებ და თუ მიღებული პასუხი არ აკმაყოფილებდა მოუწოდა თ. ავალიშვილს მიემართა სასამართლოსთვის. მისივე განმარტებით სოციალური შემწეობის მიმღებ პირთა სახელობთი სიის არც ბაზა ჰქონდა და ასეთი პერსონალური მონაცემების გაცემის უფლებაც არ გააჩნდა.
აღნიშნულ განმარტებას მოჰყვა თ. ავალიშვილის გაღიზიანება და ხმამაღლა, ემოციურად იძახდა, რომ კ. გამრეკელაშვილს შეეძლო 1 საათში მოეტანა ეს სია.
ვინაიდან აღნიშნული საკითხის განხილვა სცდებოდა საკრებულოს უფლებამოსილების სფეროს და შესაბამისად არც დღის წესრგიგით განსახილველ საკითხებში იყო გათვალისწინებული, სხდომის თავმჯდომარემ თ. ავალიშვილს მოუწოდა, რომ მიეცა სხდომის ჩატარების შესაძლებლობა, ხოლო აღნიშნულ საკითხზე განცხადება გაეკეთებინა და ემსჯელათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ.
თ. ავალიშვილმა არ გაითვალისწინა სხდომის თავმჯდომარის მოწოდება და კვლავ დაჟინებით და ყვირილით მოითხოვდა ზემოთ ხსენებულ სახელობით სიას და აცხადებდა, რომ სიის მიღებამდე არ მისცემდა სხდომის ჩატარების საშუალებას. აღნიშნული ქმედება გააპროტესტა საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, რაც გადაიზარდა სიტყვიერ დაპირისპირებაში. ვინაიდან სხდომის თავმჯდომარემ ვერ შეძლო დაწყებული უწესრიგობის აღკვეთა, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად ნახევარი საათით შეწყვიტა სხდომა და დატოვა ადგილი.
სხდომის განახლების შემდეგ, თ. ავალიშვილი სხდომის თავმჯდომარეს ზემოთ ხსენებული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო კვლავ არ აძლევდა სხდომის ჩატარების შესაძლებლობას.
აღნიშნული ინციდენტი გრძელდებოდა დაახლოებით 1.30 საათის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე სხდომის თავმჯდომარე მოუწოდებდა თ. ავალიშვილს მიეცა მისთვის სხდომის ჩატარების საშუალება, მაგრამ თ. ავალიშვილი კვლავ განაგრძნობდა ემოციურად ყვირილს, რასაც მოჰყვა საკრებულოს უმრავლესობის წევრთა გაღიზიანება.
შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვინაიდან იყო რეალური საფრთხე იმისა, რომ აღნიშნული სიტყვიერი დაპირისპირება შეიძლება გადაზრდილიყო ფიზიკურ ჩხუბში, შესაძლო დანაშაულებრივი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, სხდომის თავმჯომარის გადაწყვეტილებით გამოძახებულ იქნა ხარაგაულის პოლიციის თანამშრომლები, რომელთა მეშვეობით მოხდა თ. ავალიშვილის განრიდება სხდომათა დარბაზიდან. ასევე სხდომათა დარბაზი დატოვე მისი ფრაქციის წევრებმა

ამის შემდეგ საკრებულო შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.
მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის გათავისუფლების ცნობად მიღების შესახებ (თან ერთვის).
საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე
საკრებულოს მიერ განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერის კობა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2021 და 2022 წლის განვლილ პერიოდში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თან ერთვის).

მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს წინა წლებთან შედარებით ამ მიმართულებით აქვს წინსვლა , კერძოდ რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, განხორციელების მიმართულებით მუნიციპალიტეტი 10 საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის არის, ასევე წარმატებები გვაქვს სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროექტების განხორციელების კუთხითაც, თითქმის მესამედ დაფინანსებაში შევედით, რითაც სოფლებში იხსნება პრობლემები, საპილოტე რეგიონების 4 პროექტიდან 2 დასრულებულია, სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების ფარგლებში ყველა პროექტი განხორციელდება, მუნიციპალიტეტის აღმნიშვნელი ძალიან ლამაზი ბანერი განთავსდება საღანძილის, კიცხის დაბის შემოსასვლელში და საავადმყოფოსთან.

ამრიგად პროექტების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ეს არის მერიის შესაბამისი სამსახურების, სფერო კურატორის კარგი მუშაობის შედეგი, რისთვისაც მათ მადლობა გადაუხადა ასევე აღნიშნა, რომ პრობლემები რა თქმა უნდა კვლავ არის, ცალკეული სოფლების მიმართულებით რომელთა გადაჭრა ეტაპობრივად განხორციელდება მომავალ წელს.

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ბორითში საბავშვო ბაღის მშენებლობის საქმეში მხარდაჭერისათვის.

ვ. ოდიკაძემ, საკრებულოს წევრმა რომელმაც პირადად და მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს მის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად გვერდში დგომისა და მხარდაჭერისათვის.

ლ. აბაშიძემ,საკრებულოს წევრმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს თანამშრომლობისთვის.

დ. ხაჩიძემ საკრებულოს წევრმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს მათ სამაჟორიტარო ოლქში წაქვისა და გოლისის გზის რეაბილიტაციის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სათნოების სახლი“-ს დირექტორის თ. შავიძის ანგარიში საკითხზე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სათნოების სახლი“-ს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

შ. ხიჯაკაძემ საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული ხელმძღვანელის მიერ, აქვს სამომავლო გეგმები და შემოვდივარ წინადადებით სათნოების სახლისხელმძღვანელის საქმიანობა შეფადეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შ. ხიჯაკაძის წინადადება „სათნოების სახლის" საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე 24,

წინააღმდეგი 0.

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ი. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ წიფის, სოფელ წყალაფორეთის სოფელ ზვარის და სოფელ კიცხის სასოფლო ამბულატორიების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -„ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133722 განკარგულებაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების თაობაზე (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურისიურიდიული განყოფილების უფროსის ი. თურქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის ცნობად მიღების თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებში:

მოისმინეს: იმერეთის სატყეო სამსახურის სატყეო უბნის უფროსის სიმონ ფოფხაძის ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებების საშეშე მერქნით მომარაგების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ უკვე მომარაგებულია

საშეშე მერქნით 15 სკოლა და 10 საბავშვო ბაღი, 20 ოქტომბრამდე მომარაგდება დარჩენილი 12 სკოლაც და 4 ბაღი.

მოისმინეს: სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსის კიაზო გამრეკელაშვილის ინფორმაცია მთავრობის დადგენილების შესაბამისად სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელება წარმატებით მიმდინარეოს უკვე დასაქმდა 720 პირი, დასაქმების პროცესი გრძელდება.

მოისმინეს: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი ინსპექტორის ავთანდილ ვეფხვაძის ინფორმაცია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების აცრების ჩატარების მდგომარეობისა და ცხოველთა მიერ მოქალაქეთა დაკბენის ფაქტებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს უკვე აიცრა 3500 სული (ძაღლი და კატა), ჩატარებულია ჯილეხის საწინააღმდეგო აცრები დეისში, ჩრდილში, ნუნისში ზვარეში, დაახლოებით 760 მსხვილფეხა პირუტყვი, ამავე პერიოდში დაფიქსირდა დაკბენის 74 შემთხვევა, საბედნიეროს ცოფის შემთხვევა არ დადასტურებულა, ამჟამად სამსახურში მიმდინარეობს დაგეგმილი სამუშაოები.

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**